შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული
სტუდია
„ბაზისი XXI“

საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ.№63-ა
ტელ. (+995 032) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№185/12

L.T.D. projecting,
architect-design
studio
„BAZISI XXI“

63-a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 599) 77 21 77
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„15“ ოქტომბერი. 2012წ.

## სამშენებლო კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, სექტორი-მთაწმინდა, კოსტავას ქუჩა №43-ში, შ.პ.ს. „სანი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე № 01.15.03.010.060 მდებარე სამსართულიანი შენობის რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის და მისი ადაპტაციის საოფისე შენობად (მანსარდის ტიპის არასრული სართულის დაშენებით) შესაძლებლობის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობას, მისი რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის და საოფისე შენობად ადაპტაციის (მანსარდის ტიპის არასრული სართულის დაშენებით) შესაძლებლობის დასადგენად.

ქ. თბილისში, სექტორი-მთაწმინდა, კოსტავას ქუჩა №43-ში, შ.პ.ს. „სანი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე № 01.15.03.010.060 მდებარე შენობა წარმოადგენს სამსართულიან ნაგებობას, სარდაფის სართულით. სარდაფის სიმაღლე შეადგენს 5,0მ; I სართულის სიმაღლეა 4,0მ; II–III სართულების–4,4მ.

შენობა გეგმაში რთული ფორმისაა; კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა მზიდკედლებიანი ტიპისაა. საძირკვლები ლენტურია; კედლები აგურის წყობისაა, კირის ხსნარზე, კედლების სისქესარდაფის სართულში შეადგენს 80–100სმ; ზედა სართულებში კედლების სისქე თანდათან იკლებს და შეადგენს 80–40სმ-ს.

სართულშუა გადახურვები შესრულებულია ლითონის კოჭებით, მათ შორის ჩასხმულია ბეტონის ფილა. ლითონის კოჭების თავზე, მათ გასწვრივ დადებულია ხის კოჭები, მათზე მოწყობილია შეფიცვრა და ხის იატაკი.

შიდა ეზოს მხარეს, მიწისზედა სართულებში, შენობას გააჩნია ხის შემინული ნაწილი (შუშაბანდის ტიპის), იგი ამორტიზირებულია, შეინიშნება ჯდენითი დეფორმაციები.

გამოკვლევის შედეგად ნაგებობის მზიდი კონსრტუქციების ძირითადი ნაწილი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია; მთავარი ფასადის მარცხენა ნაწილის მზიდი კედლები გამაგრებულია ფოლადის მჭიმებით, ამ ნაწილში შეინიშნება მცირე სიდიდის ჯდენები, რაც გამოწვეულია შენობის მარცხენა გვერდითი კედლის გასწვრივ ახალი კორპუსის მშენებლობით (ნაგებობა დასრულებულია).

შენობის მესაკუთრეს სურვილი აქვს აწარმოოს არსებული შენობის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და მისი ადაპტაცია საოფისე შენობად (მანსარდის ტიპის არასრული სართულის დაშენებით), რაც ითვალისწინებს:

– სარდაფის სართულში: ტიხრების მოხსნას; სველი წერტილების მოწყობას; I სართულიდან სარდაფში ჩასასვლელი კიბის მოწყობას; „ 3’ “ ღერძის გარეთ კედლების დემონტაჟს; რამოდენიმე კარის ღიობის მოწყობას; ლიფტის მოწყობას;

– I სართულში: ტიხრების დემონტაჟს; სველი წერტილების მოწყობას; ლიფტის მოწყობას; ახალი კარ-ფანჯრების ღიობების მოწყობას; ხის ამორტიზირებული ნაწილის მოხსნას და აღდგენას.

– II სართულში: ტიხრების დემონტაჟს; სველი წერტილების მოწყობას; ლიფტის

მოწყობას; ახალი კარ-ფანჯრების ღიობების მოწყობას; ხის ამორტიზირებული ნაწილის მოხსნას და აღდგენას.
– III სართულში: ტიხრების დემონტაჟს; სველი წერტილების მოწყობას; ლიფტის მოწყობას; ახალი კარ-ფანჯრების ღიობების მოწყობას; ხის ამორტიზირებული ნაწილის მოხსნას და აღდგენას.
– სხვენში: არსებული სახურავის მოხსნას, არასრული მანსარდის ტიპის მსუბუქი სართულის დაშენებას, ღია ტერასის მოწყობას.

დასკვნა:

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ს ქ. თბილისში, სექტორი-მთაწმინდა, კოსტავას ქუჩა №43-ში, შ.პ.ს. „სანი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე № 01.15.03.010.060 მდებარე სამსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და მისი ადაპტაცია საოფისე შენობად (მანსარდის ტიპის არასრული სართულის დაშენებით) შესაძლებლად მიაჩნია შ.პ.ს. „პარალელი“-ს მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
გენ. დირექტორი ,
ექსპერტი–კონსტრუქტორი /ი. ცერცვაძე/